ქალი და მგოსანი

ივდითი რომ ქუჩაზე გაივლიდა, ათასი მაყურებლის თვალი აედევნებოდა.

– რა ჯადო აქვს ამ ქალს იმისთანა, რომ ხიბლავს მგოსანს? იტყოდა ერთი.

– სასაცილო ის არის, რომ სულ მაგის ტანზე სწერს, მერე ისე ლამაზად, გეგონება რუსუდან მეფის ტანს აღუფრ-თოვანებიაო, – ჩაურთავდა მეორე.

– მე კი ვიტყვი, – ამბობდა თავადი სარდიონი, – მაგისთანა ქალს, თუნდა რწყილსაც არ გაეაროს მის საბანზე, ფაშას ჰარამხანის კარებთანაც არ მივუშვებდი. – და ყველაზე უწინ, მარტო მას ეცინება თავის ოხუნჯობაზე. ყველაზე უფრო ანჩხლობდენ განებივრებული, გალაღებული ქალბატონები, რადგან მარტო მგოსანი დარჩათ, რომელიც მათზე არ ოხრავდა.

– დათვი ხეზე როგორ გავა... იავნანინაო, – დაიწყებდა ერთი...

– რომ გავიდეს, ვინ გაუშვებს... იავნანინაო, – მიაყოლებდა მეორე, ხოლო არავინ არ იცოდა, ქვეყანაზე სულ რომ არ ყოფილიყო ქალი, მგოსანი მაინც შეჰქმნიდა მის მომხიბვლელ სახეს...

1913 წ.